ოქმი:**ო37.37222201**
თარიღი:**08/08/2022**

ოქმი N 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2022 წელი,

3 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია -მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილე ტ. არუშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე,ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, დ.მდინარაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია,ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, შ. თავდიშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, რ.დუმბაძე, გ. სირაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, ნ. სარჯველაძე, ნ .ნადირაშვილი.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმიით პატივი მიაგეს გუდაურის ტრაგედიაში დაღუპულთ. შემდეგ განცხადების გაკეთება ითხოვა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რ. დუმბაძემ, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ განცხადებების გაკეთება

მსურველებს შეეძლებათ საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, რასაც მოჰყვა ხმაური და დღის წესრიგის დამტკიცებამდე, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს. სხდომის თავმჯდომარემ, დავით დარჩიამ გააგრძელა სხდომა და საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29 ხმით.

დღის წესრიგი

38.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ქეთევან ხომერიკი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

საკრებულოს წევრმა ს. ქარცივაძემ განაცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა ოპოზიციასაც მიეღო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა, მით უმეტეს, როცა ინიციატივა მათი იყო. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ მერიასთან შექმნილია ამ საკითხებზე მომუშავე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სათათბირო ორგანო-საბჭო.

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ბიგვავას შეკითხვას.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

39.2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მე-2-ე კვარტლის ანგარიში დადგენილ ვადებში და მისაღები ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ მოთხოვნა, ნაზარდი ჯამით წარმოდგენილი კვარტლის ანგარიში წლის დაწყებიდან, წარმოდგენილიყო არა მხოლოდ აღნიშნული შინაარსით, არამედ ნაზარდი ჯამიდან გამოყოფილი უშუალოდ მე-2-ე კვარტალში დამდგარი მაჩვენებლების წარმოდგენით. ამ შენიშვნას განმარტება მისცა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა ანგარიში და მხარს უჭერს მას.

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

26.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

40.5. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

27.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით

დარგობრივი კომისიის წევრმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

28.7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

დარგობრივი კომისიის წევრმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

41.8. „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 ნოემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ დადგენილება ხელს შეუწყობს ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზებას.

42.9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ქეთევან ხომერიკი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

43.10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში ბულვარის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძე განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

44.11. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 ხმით.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დახურვის შემდეგ განცხადებები გააკეთეს: საკრებულოს წევრებმა მ. ვაშალომიძემ -ქ. ოზურგეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების

შესახებ, რომელსაც განმარტება მისცა მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ; ბ. მელუამ, რომელმაც დააყენა წინადადება საკრებულოს რეგლამენტის დახვეწის მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფი; დ. მდინარაძემ -მერიაში და საკრებულოში შემოსულ მოქალაქეთა წერილებზე რეაგირებაზე საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ინფორმირების მიზნით სპეციალური დღის დანიშვნის შესახებ; ქ. ხომერიკმა -მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერსა და მის მოადგილეებს საარჩევნო დაპირებების შესრულებისა და აქტიური მუშაობისათვის, ასევე ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის საკეთილდღეოდ გაწეული საქმიანობისათვის.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი